

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

თამთა ლლონტი

პერსონალური მონაცემების დაცვა საქართველოს საჯარო
სამსახურში

დოქტორის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის

ავტორ ეფერ ატი

სადოქტორო პროგრამა – საჯარო მმართველობა

შიფრი – 1109

თბილისი

2020 წელი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის

საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტში

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი გენადი იაშვილი

რეცენზენტები:

დაცვა შედგება 2020 წლის — ივლისს, — საათზე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების,
საჯარო მმართველობისა და მენეჯმენტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო
საბჭოს სხდომაზე, კორპუსი -----, აუდიტორია ----

მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას 77.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ს ბიბლიოთეკაში,

ხოლო ავტორეფერატისა - სტუ-ს ვებგვერდზე.

სადისერტაციო საბჭოს მდივანი: (ხელმოწერა) -----

Abstract

The dissertation deals with the problems of personal data protection in the Public Service of Georgia. In particular, investigate the risks associated with the use of personal data and developing ways to overcome them;

One of the components of privacy is the protection of personal data. Despite, that in the recent past the right to personal data protection was considered along with the personal life and to the rights of privacy, computer data processing technology has brought many problems to the Georgian state.

Today, with the electronic processing of information, personal data protection methods have changed significantly. The concept of "privacy" has also acquired a new meaning. Within this concept, it becomes necessary to integrate all the principles of the privacy system and data processing (at all stages of creation and existence).

The EU General Data Protection Regulation (GDPR - 25.05.2018) takes the protection of personal data to a new level and aims to properly protect the privacy of each data subject.

The paper analyzes the experience of EU member states, in which the violations in the process of personal data processing in the public sphere in Georgia have been relatively identified and ways to overcome them have been developed.

In the first chapter - "Analysis of the Situation of Personal Data Protection in Georgia" - discusses: Basic principles of personal data processing; The legal basis for processing personal data has been analyzed; Data processing using electronic technology; The following issues are also presented: collection, storage and disclosure of data of a special category; Transfer of personal data to another state and/or international organization; Informing citizens and protecting their rights.

In the second chapter - "International Personal Data Protection Experience" discusses international experience - EU Data Protection Regulations; The right to access and delete data; The right to port data; Assessing data processing risks; Legal Objectives of Biometric Data Processing.

In the third chapter - "Financial and Organizational Support of the State Personal Data Protection Inspector of Georgia" analyzes the legality of data processing in public and private institutions; Review of data protection complaints / applications; Measures taken by the inspector to enforce the law; Protection of personal data in higher education institutions; Protection of personal data in the field of health care; Protecting personal data in the banking system.

The State Inspector's Office is the first independent state body, which controls the legality of the processing of personal data in both public and private institutions. Since the paper deals with personal data protection issues in public services, the dissertation reviews in detail the 2013-2019 reports and the role of the State Inspector as a representative of the law enforcement agency in the context of an effective investigation of particularly serious official crimes.

In the fourth chapter - "Research and Research Results" presents the research methodology conducted by us and analyzes the obtained results.

The paper is based on international and Georgian legislation, regulations, decisions, reports, scientific publications and enforcement practices, as well as recommendations from the European Union and local organizations.

Although that the Personal Data Protection Law on "Personal Data Protection in Georgia" has been developed in accordance with modern principles, the international legislation has not yet fully implemented the guarantees of personal data protection recognized internationally. Therefore, the paper provides recommendations for increasing the guarantees of protection of the rights of the data subject, which means: Carrying out video surveillance in public places and public transport through authorized persons; Selection of data transfer methods for another state / international organization according to the principles of human rights protection; Revision of industry legislation (health, education, insurance, banking, finance, social security, etc.) in line with direct marketing video surveillance and disclosure risks in

accordance with the General Data Protection Regulation (GDPR) confidentiality rules.

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

საკვლევი თემის აქტუალობა: თანამედროვე დემოკრატიულ ქვეყნებში პერსონალური მონაცემების დაცვა ადამიანის ძირითად უფლებად განიხილება, ამ უფლების რეალიზებისთვის კი მნიშვნელოვანი ინსტიტუციური და საკანონმდებლო რეფორმები ხორციელდება. „ადამიანის ძირითადი უფლებების შესახებ“ ევროკავშირის ქარტიაში პერსონალური მონაცემების დაცვის უფლებას ცალკე მუხლი ეთმობა, ხოლო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას ადამიანის ღირსების დაცვის წინაპირობად მიიჩნევს. საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, პიროვნების განვითარების, მისი ღირსების დაცვის, მოქალაქის შესახებ სახელმწიფო დაწესებულებაში არსებული ინფორმაციის გაცნობის უფლებებს, ასევე, სახელმწიფოს ვალდებულებას, დაიცვას ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ჯანმრთელობასთან, ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია. ყოველივე აღნიშნული ქმნის პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის კონსტიტუციურ გარანტიასა და საფუძველს.

პირის ინტერესი, არ დაუმვას კერძო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება და აკონტროლოს ამ ინფორმაციის გავრცელება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ერთ-ერთი უმთავრესი ასპექტია. კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების რეალიზებისთვის მნიშვნელოვანია, რომ მონაცემთა დამუშავება მხოლოდ კანონიერი საფუძველით ხდებოდეს. ადამიანმა უნდა იცოდეს, როდის იქნება მის პირად ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევა ლეგიტიმური, რა უფლებები აქვს მას და რა გზით დაიცვას საკუთარი ინტერესები. ჩვენ მიერ განხილულია ისეთი ძირეული საკითხები, როგორცაა: მონაცემთა დამუშავების პრინციპები, დამუშავების საფუძველები და საშუალებები; მონაცემთა დამუშავება ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით, განსაკუთრებული კატეგორიისა და ბიომეტრული მონაცემების დამუშავების სპეციფიკა, მონაცემთა სხვა ქვეყნებში გადაცემა, მოქალაქეთა ინფორმირებულობა და

მათი უფლებების დაცვა.

კვლევის ჰიპოთეზა: საჯარო სამსახურში პერსონალურ მონაცემთა დაცვის გარანტიები დამოკიდებულია ვიდუოთვალთვალის, პირდაპირი მარკეტინგის, მონაცემთა გადაცემის მეთოდების უფლებათა დაცვის კონტექსტში შერჩევასა და დარგობრივ კანონმდებლობაში General Data Protection Regulation (GDPR)-ით გათვალისწინებული უსაფრთხოების წესების იმპლიმენტაციაზე.

კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს მიმდინარე ეტაპზე სახელმწიფო სფეროში პერსონალური მონაცემების დაცვის პრობლემების გამოვლენა და მათი დაძლევის გზების შემუშავება.

მიზნის მისაღწევად დასახულია ამოცანა:

1. საჯარო სამსახურებში, პერსონალური მონაცემების დარღვევის რისკებთან დაკავშირებული საკითხების **გამოკვლევა;**
2. თანამედროვე ეტაპზე საქართველოს საჯარო სამსახურებში არსებული გამოწვევების **გამოვლენა;**
3. საქართველოში საჯარო სფეროში პერსონალური მონაცემების დარღვევის პრობლემების **გამოვლენა და მათი გამოსწორების გზების შეთავაზება**, დასავლეთის ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით;
4. საჯარო სამსახურში პერსონალური მონაცემების დარღვევის პრევენციის შესაძლებლობების **ანალიზი;**
5. სტრატეგიის **შეთავაზება** მოქალაქეთა ინფორმირებულობის და ჩართულობის დონის ასამაღლებლად პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხში;
6. რეკომენდაციების **შემუშავება** საქართველოს საჯარო სამსახურში პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველსაყოფად.

კვლევის საგანი და ობიექტი: ნაშრომის კვლევის საგანია კონცეფციების, მეთოდების და სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა, რომლებიც უზრუნველყოფენ პერსონალურ მონაცემთა დაცვის კონფიდენციალურობას. კვლევის **ობიექტია** საჯარო სამსახურში

პერსონალურ მონაცემთა დაცვის უზრუნველყოფის სფეროში წარმოშობილი ურთიერთობები.

კვლევის მეთოდოლოგია: კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველია ქართველი და უცხოელი მეცნიერების მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები თანამედროვე დროში პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ.

სადისერტაციო ნაშრომის კვლევის განხორციელების საფუძველია სისტემური მიდგომა როგორც საერთო მეცნიერული მეთოდოლოგიით შედარებითი ანალიზის, ასევე სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით. **კვლევის ინფორმაციულ ბაზას** წარმოადგენს სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციებისა და პერიოდული გამოცემების მასალები, ასევე, საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის სტატისტიკის სამსახურის მონაცემები.

პირველ თავში - “პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის ანალიზი საქართველოში” – განხილულია: პერსონალურ მონაცემთა დამუშავების ძირითადი პრინციპები; გაანალიზებულია პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერი საფუძველი; მონაცემთა დამუშავება ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით; ასევე წარმოდგენილია შემდეგი საკითხები: განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების შეგროვება, შენახვა და გამომჟღავნება; სხვა სახელმწიფოსთვის ან/და საერთაშორისო ორგანიზაციისთვის პერსონალურ მონაცემთა გადაცემა; მოქალაქეთა ინფორმირებულობა და უფლებების დაცვა.

მეორე თავში - პერსონალური მონაცემების დაცვის საერთაშორისო გამოცდილება განხილულია საერთაშორისო გამოცდილება – ევროკავშირის მონაცემთა დაცვის შესახებ რეგულაციები; მონაცემებთან წვდომის და წაშლის უფლება; მონაცემთა პორტირების უფლება; მონაცემთა დამუშავების რისკების შეფასება; ბიომეტრულ მონაცემთა დამუშავების კანონიერი მიზნები.

მესამე თავში - “საქართველოს სახელმწიფო პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორის ფინანსური და ორგანიზაციული უზრუნველყოფა” გაანალიზებულია მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმება

საჯარო და კერძო დაწესებულებებში; მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული განცხადებების/ საჩივრების განხილვა; ინსპექტორის მიერ კანონის აღსრულების მიზნით გამოყენებული ღონისძიებები; პერსონალური მონაცემების დაცვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში; პერსონალური მონაცემების დაცვა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში; პერსონალური მონაცემების დაცვა საბანკო სისტემაში.

მეთხე თავში – „კვლევა და კვლევის შედეგები“ წარმოდგენილია ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის მეთოდოლოგია და გაანალიზებულია მიღებული შედეგები.

ნაშრომის ბოლოს წარმოდგენილია ჩვენ მიერ შემუშავებული რეკომენდაციები პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

გამოკვლევის მეცნიერული სიახლე: საერთაშორისო დონეზე აღიარებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის გარანტიების სრული იმპლიმენტაცია, რაც გულისხმობს მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის გარანტიების გაზრდას: საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებსა და საზოგადოებრივ ტრანსპორტში ვიდეოთვალთვალის განხორციელებას უფლებამოსილი პირების მეშვეობით; სხვა სახელმწიფოსთვის/ საერთაშორისო ორგანიზაციისათვის მონაცემთა გადაცემის მეთოდების შერჩევას უფლებათა დაცვის პრინციპების მიხედვით; დარგობრივი კანონმდებლობის (ჯანდაცვა, განათლება, დაზღვევა, საბანკო-საფინანსო საქმიანობა, სოციალური უზრუნველყოფა და სხვა) გადასინჯვას პირდაპირი მარკეტინგის ვიდეოთვალთვალის და გამჟღავნების რისკების დასაძლევად General Data Protection Regulation (GDPR)-ით გათვალისწინებული კონფიდენციალურობის დაცვის წესების შესაბამისად.

გამოკვლეულია საჯარო სამსახურებში, კერძოდ საგანმანათლებლო და ჯანდაცვის სფეროებში პერსონალური მონაცემების დარღვევის რისკებთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები;

გამოვლენილია პერსონალური მონაცემების დაცვის კუთხით საქართველოს საჯარო სამსახურებში არსებული გამოწვევები და

შემოთავაზებულია მათი გამოსწორების გზები დასავლეთის ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით;

კვლევის ფარგლებში შესწავლილია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში არსებული მდგომარეობა, გამოვლენილი ხარვეზები თუ სუსტი მხარეები, ასევე, ყველა იმ ელემენტის ერთობლიობა, რომელიც შესაძლებელია საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის წინაპირობას წარმოადგენდეს. განხილულ იქნა პრობლემური სფეროები პერსონალურ მონაცემთა დაცვის კუთხით;

დამუშავებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატიდან გამოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია ინსპექტორის აპარატში წარდგენილი საჩივრებისა და განცხადებების შესახებ;

გამოკვეთილია კონკრეტული შესაძლებლობები პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველსაყოფად და წარმოდგენილია პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები სხვადასხვა სფეროში;

გაანალიზებულია საჯარო სამსახურში პერსონალური მონაცემების დარღვევის პრევენციის შესაძლებლობები;

შემოთავაზებულია კონკრეტული რეკომენდაციები და ღონისძიებები რომლებიც შეეხება მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლებას პერსონალური მონაცემების დაცვის სფეროში.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა. კვლევის შედეგად მიღებული რეკომენდაციები გამოყენებული იქნება სახელმწიფო ინსპექტორის საქმიანობაში. აგრეთვე ცალკეული საჯარო დაწესებულებების მიერ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სისტემის ფორმირების დროს. გარდა ამისა კვლევის შედეგები გამოყენებული იქნება სასწავლო პროცესში ინფორმაციული სამართლისა და პერსონალურ მონაცემთა მართვის მიმართულებით.

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა და ოდენობა. სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, ოთხი თავის, ოცი ქვეთავის, დასკვნებისა და ლიტერატურის სიისაგან. ნაშრომი მოიცავს 138 გვერდს. ნაშრომის შინაარსი შემდეგია:

შესავალი

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

თავი 1. პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის ანალიზი საქართველოში

- 1.1. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების ძირითადი პრინციპები;
- 1.2. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერი საფუძველი;
- 1.3. მონაცემთა დამუშავება ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით;
- 1.4. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების შეგროვება, შენახვა და გამომჟღავნება;
- 1.5. სხვა სახელმწიფოსთვის ან/და საერთაშორისო ორგანიზაციისთვის პერსონალურ მონაცემთა გადაცემა;
- 1.6. მოქალაქეთა ინფორმირებულობა და უფლებების დაცვა;

თავი 2. პერსონალური მონაცემების დაცვის საერთაშორისო გამოცდილება

- 2.1. პერსონალური მონაცემების დაცვა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში;
- 2.2. ევროკავშირის რეგულაციები მონაცემთა დაცვის შესახებ;
- 2.3. მონაცემთა დამუშავების რისკების შეფასება;
- 2.4. ბიომეტრიული მონაცემების დამუშავება

თავი 3. საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის ფინანსური და ორგანიზაციული უზრუნველყოფა

- 3.1. მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმება საჯარო და კერძო დაწესებულებებში;
- 3.2. მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული განცხადებების/საჩივრების განხილვა;
- 3.3. ინსპექტორის მიერ კანონის აღსრულების მიზნით გამოყენებული ღონისძიებები;
- 3.4. პერსონალური მონაცემების დაცვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
- 3.5. პერსონალური მონაცემების დაცვა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში;
- 3.6. პერსონალური მონაცემების დაცვა საბანკო სისტემაში;
- 3.7. პირდაპირი მარკეტინგი;

თავი 4. კვლევა და კვლევის შედეგები

4.1. კვლევის მეთოდოლოგია

4.2. კვლევის ძირითადი შედეგები

რეკომენდაციები პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

ძირითადი დასკვნები

გამოყენებული ლიტერატურა

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

ნაშრომის შესავალში დასაბუთებულია თემის აქტუალობა და მოცემულია პრობლემის შესწავლის მდგომარეობა, დასახულია კვლევის მიზანი და ამოცანები, კვლევის საგანი და მეთოდები. წამოდგენილია ნაშრომის მეცნიერული სიახლე და პრაქტიკული მნიშვნელობა.

ნაშრომის ლიტერატურის მიმოხილვაში ნაჩვენებია, რომ საჯარო სამსახურში პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხებს მიძღვნილი აქვს მთელი რიგი ნაშრომები როგორც ქართველი ასევე უცხოელი მეცნიერების მიერ, რაც მოცემულია კიდევ ჩვენს მიერ წარმოდგენილ ლიტერატურის ანალიზში.

როგორც ავლიწმნეთ, ნაშრომის პირველ თავში - “**პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის ანალიზი საქართველოში**” – განხილულია: პერსონალურ მონაცემთა დამუშავების ძირითადი პრინციპები; გაანალიზებულია პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერი საფუძველი; მონაცემთა დამუშავება ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით; განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების შეგროვება, შენახვა და გამომჟღავნება; სხვა სახელმწიფოსთვის ან/და საერთაშორისო ორგანიზაციისთვის პერსონალურ მონაცემთა გადაცემა; მოქალაქეთა ინფორმირებულობა და უფლებების დაცვა.

ნაშრომის ამავე თავში აღნიშნულია, რომ როგორც სახელმწიფო ინსპექტორის ანგარიშების გაანალიზების შედეგად გამოიკვეთა, პრაქტიკაში ყველაზე პრობლემური მკაფიოდ განსაზღვრული კანონიერი მიზნით

მონაცემთა დამუშავებაა. როგორც საჯარო, ისე კერძო ორგანიზაციების უმრავლესობა ვერ ახდენს მონაცემთა დამუშავების (მაგალითად: შეგროვების, შენახვის, გასაჯაროების და სხვა) კონკრეტული და ლეგიტიმური მიზნის იდენტიფიცირებას. შესაძლოა, ორგანიზაციას ჰქონდეს მონაცემთა შეგროვებისა და გარკვეული ვადით შენახვის მიზანი, მაგრამ ეს არ გულისხმობს მის მიერ ამ მონაცემების სხვა ორგანიზაციისთვის გადაცემის უფლებას. საჯარო სექტორის მიერ მონაცემთა დამუშავების მიზნის განსაზღვრისას ხშირად ხდება მათი საქმიანობის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების ზოგადად მითითება, რაც განპირობებულია მონაცემთა დამუშავების კანონიერი მიზნის არარსებობით.

საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ ამომწურავად განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების საფუძვლებსა და წინაპირობებს. შესაბამისად, ნებისმიერი დამმუშავებელი ვალდებულია უზრუნველყოს კანონით გათვალისწინებული შემდეგი საფუძვლებიდან ერთ-ერთის არსებობა მაინც, კერძოდ: მონაცემთა სუბიექტის თანხმობა; მონაცემთა სუბიექტის განცხადების განხილვა / მისთვის მომსახურების გაწევა; კანონიერი საფუძველი ან კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობის შესრულება; ინფორმაცია კანონით საჯარო ან გასაჯაროებულია თავად მონაცემთა სუბიექტის მიერ; პირის სასიცოცხლო ინტერესის დაცვა; მონაცემთა დამმუშავებლის ან მესამე პირის კანონიერი ინტერესის დაცვა, თუ მათი ინტერესი აღემატება მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ინტერესს; მონაცემთა დამუშავება ხორციელდება მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დაცვის მიზნით.

ჩვენ მიერ გაცნობილი წლიური ანგარიშების, სახელმწიფო ინსპექტორის აპარატში შესული განცხადებების, მიღებული გადაწყვეტილებების და არსებული სიტუაციის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ მონაცემთა დამუშავება ხშირად შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ხორციელდება. როგორც საჯარო, ისე კერძო დაწესებულებები ვერ ახდენენ მონაცემთა დამუშავების კანონით განსაზღვრული საფუძვლის იდენტიფიცირებას და მრავალმნიშვნელოვნად განმარტავენ ისეთ ცნებებს, როგორიცაა „მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესი“,

„კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობა“ ან „მესამე პირის კანონიერი ინტერესი“. ამიტომაც მნიშვნელოვანია სამართლებრივი ბაზის ჰარმონიზაცია, შესაბამისი გადაწყვეტილებების დასაბუთება და ისეთი სასამართლო პრაქტიკის განვითარება, რომელიც უზრუნველყოფს ბალანსის დაცვას პირად და საჯარო ინტერესს შორის.

ანალიზის შედეგად ცალსახაა, რომ მონაცემთა დამუშავების საფუძვლებს შორის ყველაზე პრობლემური მონაცემთა სუბიექტის თანხმობის საკითხია. კანონის მიხედვით, თანხმობა არის მონაცემთა სუბიექტის მიერ სათანადო ინფორმაციის მიღების შემდეგ, მონაცემთა განსაზღვრული მიზნით დამუშავებაზე ზეპირად, სატელეკომუნიკაციო ან სხვა შესაბამისი საშუალებით გამოხატული ნებაყოფლობითი თანხმობა, რომლითაც შესაძლებელია ნათლად დადგინდეს პირის ნება.

დისერტაციის პირველ თავში ასევე განხილულია საკითხი - „მონაცემთა დამუშავება ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით“. ბოლო წლებში მონაცემთა ავტომატური დამუშავება სულ უფრო ფართომასშტაბიან ხასიათს იძენს, რამაც ხელი შეუწყო გარკვეული პროცესების ოპტიმიზაციას, მომსახურების გამარტივებას, ბიუროკრატიული საფეხურების შემცირებას. ელექტრონული მმართველობის პოზიტიური შედეგების მიუხედავად, სრულად ვერ მოხდა პროცესის თანმდევი რისკების შეფასება, ასევე პერსონალური მონაცემების დაცვისა და უსაფრთხოების მინიმალური სტანდარტების დანერგვა. ხშირად ახალ ტექნოლოგიებზე გადასვლა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის განახლების გარეშე მიმდინარეობდა. მონაცემთა ავტომატური დამუშავების პროცესში ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს უწყებებს შორის მონაცემთა გაცვლის ან/და წვდომის მინიჭებისთვის სამართლებრივი საფუძვლის არარსებობა. ხშირია სხვადასხვა საჯარო უწყებებს შორის მონაცემთა გაცვლის უკანონო ფაქტები, რაც კიდევ უფრო ამძიმებს მონაცემთა დამუშავების კუთხით არსებულ არცთუ სახარბიელო მდგომარეობას. მონაცემთა დამუშავებლები, მათ შორის არც თუ ისე მცირე რაოდენობის შემთხვევებით სახელმწიფო ორგანოები, უგულებელყოფენ იმ მნიშვნელოვან გარემოებას, რომ მონაცემების მოპოვებისა და შენახვის უფლებამოსილება ავტომატურ

რეჟიმში ამ მონაცემების სხვა უწყებისათვის გადაცემის უფლებას არ ნიშნავს.

ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით პერსონალური მონაცემების მასშტაბური დამუშავების კიდევ ერთი შედეგი მონაცემთა დამმუშავებლების, „ავტორიზებული მომხმარებლების“ და უფლებამოსილი პირებისა რაოდენობის ზრდა და სხვადასხვა მონაცემთა ბაზებთან მათი წვდომის გაზრდილ შესაძლებლობებია. ეს წარმოშობს მონაცემთა არამართლზომიერი გამოყენების საფრთხეს და მათი უკანონო მოპოვებისა და გასაჯაროების ფაქტების გამოვლენას ართულებს. კანონი არეგულირებს მონაცემთა დამმუშავებლისა და უფლებამოსილი პირის ურთიერთობას და აწესებს მთელ რიგ მოთხოვნებს, კერძოდ: უფლებამოსილ პირს პერსონალურ მონაცემთა დამუშავება შეუძლია მხოლოდ სამართლებრივი აქტის ან მონაცემთა დამმუშავებელთან დადებული წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც დეტალურად უნდა განსაზღვრავდეს მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და ფარგლებს, მხარეთა უფლება-მოვალეობებს, მონაცემთა უსაფრთხოების საკითხებს.

ამავე თავში გაანალიზებულია - „განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების შეგროვება, შენახვა, გამომჟღავნება და სხვაგვარი დამუშავება“. მგრძნობიერი ხასიათიდან გამომდინარე, ეს მონაცემები, ისევე როგორც გარკვეული სახის ბიომეტრული მონაცემები, განსაკუთრებულ კატეგორიას განეკუთვნება. ამ ტიპის მონაცემთა უკანონოდ შეგროვება, შენახვა ან გავრცელება შესაძლოა ქმნიდეს პირადი ცხოვრების ხელყოფის, ადამიანის შევიწროების, დევნის ან სხვა ტიპის დისკრიმინაციის საფრთხეს.

მეორე თავში - პერსონალური მონაცემების დაცვის საერთაშორისო გამოცდილება განხილულია საერთაშორისო გამოცდილება – ევროკავშირის მონაცემთა დაცვის შესახებ რეგულაციები; მონაცემებთან წვდომის და წაშლის უფლება; მონაცემთა პორტირების უფლება; მონაცემთა დამუშავების რისკების შეფასება; ბიომეტრულ მონაცემთა დამუშავების კანონიერი მიზნები.

ხაზგასმულია, რომ ევროკავშირი ყოველთვის წარმოადგენდა მოწინავე გაერთიანებას პერსონალური მონაცემების დაცვის კუთხით. ამის

მაგალითია პერსონალურ მონაცემთა დაცვის 1995 წლის 24 ოქტომბრის დირექტივა, რომელიც არაერთი წევრი სახელმწიფოს შიდა საკანონმდებლო ჩარჩოს ჩამოყალიბებას დაედო საფუძვლად. ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიის მე-6 მუხლიც თავისი შინაარსით ინოვაციურია. ადამიანის უფლებათა სხვა საერთაშორისო დოკუმენტებისგან განსხვავებით, იგი აქცენტს არა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაზე, არამედ უშუალოდ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სავალდებულო ხასიათზე აკეთებს. ევროკავშირის ქარტიაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის, როგორც დამოუკიდებელი ფუნდამენტური უფლების ცალსახად განსაზღვრა იმ ტექნოლოგიური პროგრესის გამოძახილია რომელსაც 21-ე საუკუნე გვთავაზობს და რომლის ფონზეც კიდევ ერთხელ იკვეთება ყველა ძირითადი უფლების აუცილებელი დაცვის საჭიროება. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების საუკეთესო პრაქტიკისა და გამოვლენილი ხარვეზების ანალიზი საშუალებას გვაძლევს ნათლად დავინახოთ სახელმწიფო ინსპექტორის აპარატის როლი და ადგილი პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში. ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში განსხვავებული მიდგომა არსებობს პერსონალურ მონაცემთა ინსპექტორის არჩევისა თუ თანამდებობაზე დანიშვნის საკითხებთან მიმართებით. უმთავრეს განმასხვავებელ ნიშანს მიმდინარე პროცესებში სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა შტოს როლი და მნიშვნელობა წარმოადგენს. არსებობს შემთხვევები, როდესაც საზედამხედველო ორგანოს ფორმირების პრეროგატივა მთლიანად საკანონმდებლო ხელისუფლებას ენიჭება (გერმანია, სლოვენია), ხოლო რიგ შემთხვევებში, პარლამენტში წარმოდგენილი უმრავლესობისა და უმცირესობის დეპუტატთა სრული კონსენსუსი ქმნის საბოლოო გადაწყვეტილების მიღების წინაპირობას (საბერძნეთი). ზოგიერთი სახელმწიფოს გამოცდილებით, მონაცემთა დაცვის ინსტიტუტის დაკომპლექტებას ერთპიროვნულად ახორციელებს მთავრობა (ირლანდია, ლუქსემბურგი), ან აღნიშნული ინსტიტუტი მთლიანად იუსტიციის სამინისტროზეა მიბმული (დანია, ლატვია). არსებობს მოსაზრება, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების აქტიური როლი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის თანამდებობაზე

გამწესებისას, საფრთხეს უქმნის ამ ორგანოს დამოუკიდებლობას. საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად, ასევე აპრობირებულია ე.წ. შერეული მოდელი, რომელიც საზედამხედველო ორგანოს ფორმირების მიზნებისათვის მოიაზრებს ხელისუფლების სამივე შტოს აქტიურ ჩართულობას და კოორდინირებულ მუშაობას (საფრანგეთი, ესპანეთი, პორტუგალია, ბელგია). თუმცა, აღნიშნულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იყოს ის მიზნები, რომლებიც პლურალისტური დანიშვნის პროცედურის შემოღებას ემსახურება და არ იკვეთებოდეს მთავრობის მხრიდან პირდაპირი ან არაპირდაპირი ზეგავლენის განხორციელების შესაძლებლობა საბოლოო გადაწყვეტილების მიმღებ პირებზე. რაც შეეხება თანამდებობიდან გათავისუფლებას, თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება დანიშვნის ვადას, უფლებამოსილ ორგანოსა და კონკრეტული გარემოების არსებობას, რომელიც საბოლოო გადაწყვეტილების მიღების საფუძველს წარმოადგენს. ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა გამოცდილების თანახმად, ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის თანამდებობაზე გამწესება 5-7 წლამდე ვადით ხორციელდება. კანონი არ ითვალისწინებს არც მისი ხელმეორედ არჩევის და არც თანამდებობიდან დათხოვნის შესაძლებლობას (იტალია).

რიგ შემთხვევებში, კანონმდებლობა ზუსტად განსაზღვრავს იმ გარემოებათა ამომწურავ ჩამონათვალს, რომლებიც მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანოს თანამდებობიდან გათავისუფლების პროცედურის წამოწყების საფუძველია. ასევე, დამატებითი გარანტიის სახით, აწესებს იმავე წესების მოქმედების ვალდებულებას, რომლებიც პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის დანიშვნისას გამოიყენებოდა (სლოვენია, პოლონეთი). მაშინ, როდესაც ზემოთ წარმოდგენილი პროცედურები მიზნად ისახავს მიმდინარე პროცესების პოლიტიკური ზემოქმედებისგან მაქსიმალურად გათავისუფლებას, იმ შემთხვევაში, როდესაც მთავრობას ენიჭება უფლებამოსილება, ყოველგვარი წინაპირობის გარეშე მიიღოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების გადაწყვეტილება

(ირლანდია), ცალსახად ეჭვქვეშ აყენებს მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანოს დამოუკიდებლობის საკითხს.

როგორც დანიშვნის, ისე გათავისუფლების პროცედურების კუთხით დამატებითი გარანტიების შექმნის მიზნით, ერთობ საინტერესო და მისასალმებელია შემთხვევა, როდესაც პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის დამოუკიდებლობა ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო აქტით – კონსტიტუციითაა (საბერძნეთი, პორტუგალია) გარანტირებული. მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანოს სამართლებრივი ბუნება-ხასიათი ზედმიწევნით მკაფიოდ არის განსაზღვრული არსებული კანონმდებლობით ესპანეთსა და მალტაში. ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა გამოცდილების თანახმად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის დაფინანსების წყაროს შესაძლებელია მხოლოდ ერთი ან ერთდროულად რამდენიმე წყაროდან მომდინარე ფინანსური რესურსები წარმოადგენდეს. ზოგადი წესის თანახმად, საზედამხედველო ორგანო ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებიდან (იტალია, საფრანგეთი, ჰოლანდია, ესტონეთი). თუმცა, არსებობს შემთხვევები, როდესაც იგი კონკრეტული სახელმწიფო სტრუქტურისათვის განკუთვნილ ბიუჯეტზეა მიბმული. ასეთ სტრუქტურას, რიგ შემთხვევებში, იუსტიციის სამინისტრო წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ 2018 წლის 25 მაისს ძალაში შევიდა ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია („General Data Protection Regulation“) რეგულაციას პერსონალურ მონაცემთა დაცვა სრულიად ახალ საფეხურზე გადაჰყავს და მიზნად ისახავს ტექნოლოგიური პროგრესისა და თანამედროვე გამოწვევების პირობებში ინდივიდების უფლებების სათანადო დაცვას. რეგულაცია ამკვიდრებს ისეთ ახალ პრინციპებს, როგორცაა მონაცემთა დამამუშავებელი ორგანიზაციების ანგარიშვალდებულება, მონაცემთა პორტირება, მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის შეტყობინების ვალდებულება და სხვა. რეგულაცია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში პირდაპირ მოქმედებს და არ საჭიროებს ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვას. იგი აწესებს ევროკავშირის მთელ ტერიტორიაზე მონაცემთა დაცვის ერთიან სავალდებულო წესებს, რაც

გამორიცხავს ამა თუ იმ საკითხის რადიკალურად განსხვავებულ მოწესრიგებას. ეს მონაცემთა დამუშავებელ ორგანიზაციებს გაუმარტივებს ევროკავშირის ტერიტორიაზე საქმიანობას და მონაცემთა დამუშავების წესების დაცვას. მნიშვნელოვანია, რომ რეგულაცია ვრცელდება არა მხოლოდ ევროკავშირში რეგისტრირებულ, არამედ იმ ორგანიზაციებზეც, რომლებიც არ არიან რეგისტრირებული ევროკავშირში, თუმცა ამუშავებენ ევროკავშირში მყოფი პირების მონაცემებს. ევროკავშირთან გაღრმავებული სავაჭრო ურთიერთობების გათვალისწინებით, რეგულაცია ვრცელდება ცალკეულ ქართულ ორგანიზაციებზეც. ვინაიდან რეგულაციის წესების დარღვევისთვის საკმაოდ მაღალი სანქციებია გათვალისწინებული, მნიშვნელოვანია, ორგანიზაციებმა იცოდნენ, რა ვალდებულებები ეკისრებათ და როგორ უნდა უზრუნველყონ მათი საქმიანობის რეგულაციასთან შესაბამისობა.

ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია ევროკავშირში რეგისტრირებულ ნებისმიერ ორგანიზაციაზე ვრცელდება, რომელიც საქმიანობის ფარგლებში ამუშავებს პერსონალურ მონაცემებს.

სხვა ქვეყნებში, მათ შორის, საქართველოში რეგისტრირებულ ორგანიზაციებზე, რეგულაცია ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუ მათ აქვთ ფილიალი/წარმომადგენლობა ევროკავშირის ტერიტორიაზე ან: ამუშავებენ ევროკავშირის ტერიტორიაზე მყოფი პირების მონაცემებს მათთვის მომსახურების ან პროდუქციის შეთავაზების მიზნით, იმის მიუხედავად, ფასიანია თუ არა ეს მომსახურება ან პროდუქტი.

სიახლეს წარმოადგენს ანგარიშვალდებულების პრინციპი, რომლის მიხედვითაც ორგანიზაცია პასუხისმგებელია დამუშავების ყველა პრინციპის დაცვაზე. რეგულაციის პრინციპების დასაცავად რეკომენდირებულია: მონაცემთა დაცვის/ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავება; პერსონალური მონაცემების, დამუშავების საფუძვლებისა და მონაცემთა მიმართ შესრულებული მოქმედებების აღრიცხვა; მონაცემთა დამუშავების პროცესში ჩართული თანამშრომლების ინფორმირება/გადამზადება; მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული დოკუმენტების (მაგალითად, პირის წერილობითი თანხმობა მონაცემთა

დამუშავებაზე) განსაზღვრული ვადით შენახვა; მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული რისკების შეფასება; მონაცემთა შენახვის ვადებისა და შესაბამისი პროცედურების განსაზღვრა; ქცევის კოდექსის შემუშავება ან საქმიანობის სფეროში უკვე დამტკიცებულ ქცევის კოდექსთან მიერთება; ნებაყოფლობითი სერტიფიცირება.

მესამე თავში - “საქართველოს სახელმწიფო პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორის ფინანსური და ორგანიზაციული უზრუნველყოფა” გაანალიზებულია მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმება საჯარო და კერძო დაწესებულებებში; მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული განცხადებების/ საჩივრების განხილვა; ინსპექტორის მიერ კანონის აღსრულების მიზნით გამოყენებული ღონისძიებები; პერსონალური მონაცემების დაცვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში; პერსონალური მონაცემების დაცვა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში; პერსონალური მონაცემების დაცვა საბანკო სისტემაში.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი არეგულირებს ინსპექტორის სათანადო საქმიანობისათვის საჭირო ფინანსური და ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფის საკითხებს. კერძოდ, კანონის თანახმად, ინსპექტორი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს აპარატის დახმარებით, რომელსაც იგი უშუალოდ ან მოადგილის საშუალებით ხელმძღვანელობს. აპარატის სტრუქტურას, საქმიანობასა და თანამშრომელთა შორის უფლებამოსილების განაწილების წესს ადგენს ინსპექტორი აპარატის დებულებით. აღსანიშნავია, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ინსპექტორს გააჩნია გრანტების მიღების უფლებამოსილება, თავისი საქმიანობის განხორციელების მიზნებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს, კანონის თანახმად, ეკისრება ვალდებულება, კონსულტაცია გაუწიოს საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, სხვა საჯარო დაწესებულებებს, კერძო სამართლის იურიდიულ პირებს და ფიზიკურ პირებს მონაცემთა დამუშავებასა და დაცვასთან

დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მიერ მოწოდებული ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, 2019 წლის პირველ ნახევარში გაიცა 1668 კონსულტაცია. კონსულტაციის მაძიებლები იყვნენ როგორც კერძო, ისე საჯარო დაწესებულებები, მათ შორის – სამინისტროები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები, მობილური ოპერატორები, საბანკო და სადაზღვევო ორგანიზაციები და სხვა.

დისერტაციის ამავე თავში აღნიშნულია, რომ სახელმწიფო ინსპექტორის აპარატის ერთ-ერთ მოვალეობას საზოგადოების ინფორმირება წარმოადგენს. პერსონალურ მონაცემთა დაცვის აუცილებლობა უმეტესწილად სწორად გათვითცნობიერებულ ადამიანზეა დამყარებული, რომელმაც ზედმიწევნით იცის ყველა ის საჭირო წესი, რაც ყოველდღიური ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ტრანზაქციების დროს მისი დაცვის გარანტიას წარმოადგენს.

გაანალიზებულია „მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმება საჯარო და კერძო დაწესებულებებში“ სადაც ხაზგასმულია, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სახელმწიფო ინსპექტორს უფლება აქვს მონაცემთა დამუშავების კანონიერება შემოწმოს როგორც საკუთარი ინიციატივით, ისე დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე. ინსპექტირების განხორციელების მიზნით, მონიტორინგის განმახორციელებელ ორგანოს შეუძლია, შევიდეს ნებისმიერ დაწესებულებაში და ორგანიზაციაში, გაეცნოს ყველა სახის დოკუმენტაციას, მიუხედავად მათი შინაარსისა. ინსპექტორი შემოწმების თაობაზე წინასწარ, 3 დღით ადრე ატყობინებს ორგანიზაციას. აღნიშნული ნორმა, პრაქტიკაში მისი რეალიზების კუთხით, პრობლემატურია. კანონით დაწესებული წინასწარი შეტყობინების ვადა სავსებით საკმარისია სისტემაში არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, შესაბამისად ინსპექტირების ჩატარების საჭიროება აზრს კარგავს. შემოწმება, თავისი ბუნებისა და ხასიათის გათვალისწინებით, დაფუძნებულია მოულოდნელობის ეფექტზე და აღნიშნული საკანონმდებლო ნორმა კი ეწინააღმდეგება მსგავსი ხასიათის ღონისძიების

განხორციელების მიზნებს. შემოწმების მიზნით, ინსპექტორი უფლებამოსილია, მონაცემთა დამუშავებელს მოსთხოვოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტი, ხოლო შესაბამის პირებს ეკისრებათ ვალდებულება, დაუყოვნებლივ შეასრულონ მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანოს მითითება. იმ შემთხვევაში, თუკი სამართლებრივი ან ფიზიკური მიზეზების გამო, შეუძლებელია მოთხოვნილი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის დაუყოვნებლივ გაცემა, კანონი აწესებს მაქსიმალურ 15 დღიან ვადას მოთხოვნის შესასრულებლად. გამომდინარე იქიდან, რომ ინსპექტირების მიზნებისათვის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორსა და მისი აპარატის თანამშრომლებს აქვთ წვდომა ნებისმიერ დოკუმენტსა თუ ინფორმაციაზე, კანონი, მსგავსი ხასიათის ინფორმაციის გამჟღავნებისგან დამცავი მექანიზმის სახით, ითვალისწინებს შესაბამისი პირების ვალდებულებას, არ დაუშვან იმ ინფორმაციის უკანონო დამუშავება, რომელიც მათთვის სამსახურებრივი საქმიანობის შედეგად გახდა ცნობილი. ინსპექტირების განხორციელება მოიცავს მონაცემთა დამუშავების, მისი დაცვის მიზნით განხორციელებული პროცედურების და მიღებული ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების, ფაილური სისტემის კატალოგის წარმოების, მონაცემთა სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის გადაცემის კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მონაცემთა სხვა სახელმწიფოსა თუ საერთაშორისო ორგანიზაციისათვის გადაცემა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი არსებობს ამ კანონით გათვალისწინებული მონაცემების დამუშავების საფუძვლები, მიზნები და დაცვის სათანადო გარანტიები. აღნიშნულს ადგენს ინსპექტორი, რომელიც არსებული გარემოებების შესწავლის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას მონაცემთა სხვა სახელმწიფოსათვის გადაცემისათვის საჭირო ნებართვის გაცემის თაობაზე.

მეთხე თავში – „კვლევა და კვლევის შედეგები“ წარმოდგენილია ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის მეთოდოლოგია და გაანალიზებულია მიღებული შედეგები. კვლევაზე მუშაობის დროს:

გაანალიზდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის კუთხით საქართველოში არსებული საკანონმდებლო ბაზა, რომელიც მოიცავს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონსა და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 ივლისის #180 დადგენილებას პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის საქმიანობისა და მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე. კვლევის პროცესში შესწავლილი იქნა ყველა ის მუხლი, რომელიც შესაბამისი მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანოს ფუნქციონირებას, უფლებამოსილებასა თუ საქმიანობის წესს შეეხებოდა.

დამუშავდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატიდან 2013- 2019 წლების მდგომარეობით გამოთხოვნილი შემდეგი საჯარო ინფორმაცია: ინსპექტორის აპარატში წარდგენილი საჩივრებისა და განცხადებების რაოდენობა; საკითხები, რომლებსაც აღნიშნული განცხადებები და საჩივრები შეეხებოდა და ინფორმაცია განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებების თაობაზე; ინფორმაცია იმ დაწესებულებების შესახებ, სადაც მონაცემთა დამუშავების კანონიერი შემოწმება (ინსპექტირება) განხორციელდა, ინსპექტირების შედეგად მიღებული სათანად გადაწყვეტილების ასლების მოწოდებით; ინფორმაცია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მიერ საქართველოში მონაცემთა დაცვის მდგომარეობისა და მასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით გატარებული ღონისძიებების თაობაზე.

კვლევის ძირითადი შედეგები

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტი გამოვლინდა, კერძოდ:

-ინსტრუქციები შემუშავებულია რიგი საჯარო სამსახურებისათვის, თუმცა ჯერჯერობით არ არის მასშტაბური ხასიათის.

-საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის თანახმად, გარკვეული სფეროები რეგულირების მიღმა დარჩენილი,


როგორცაა, მაგალითად: სასამართლოში სამართალწარმოების, მონაცემთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების (მათ შორის, ეკონომიკური უსაფრთხოების), თავდაცვის, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და დანაშაულის გამოძიების მიზნებისათვის მონაცემთა დამუშავება (აღსრულების თვალსაზრისით);

-პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის მიზანი არ უნდა იყოს რომელიმე სფეროს გამორიცხვა მისი მოქმედების არეალიდან (მაგ; მედიის);

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა დემოკრატიული სახელმწიფოს ცნების განუყოფელი ნაწილია. მისი გარანტირებული დაცვა საქართველოს კონსტიტუციის რამდენიმე ნორმით არის უზრუნველყოფილი.


პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისთვის აბსოლუტური დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად და დასახული მიზნის მისაღწევად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მის ფინანსურ და ადამიანური რესურსით უზრუნველყოფასა და მინიჭებული უფლებამოსილების ხარისხს.

2019 წელს მოქალაქეთა განცხადებების რაოდენობა მზარდი იყო.



242 მომართვის ავტორი იყო მონაცემთა სუბიექტი, 175-ის - სხვა დაინტერესებული პირი, ხოლო ანონიმური იყო 5 მომართვა.

2019 წელს ჩატარდა 156 ინსპექტირება.




სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ პერსონალურ მონაცემთა არაკანონიერი დამუშავების ფაქტი 135 შემთხვევაში დადგინდა.

სადისერტაციო კვლევაზე მუშაობისას ჩვენ მიერ შედგენილი იქნა კითხვარი, რომელიც გადაეგზავნა 1000 მოქალაქეს. მათგან პასუხი დაგვიბრუნა 250 მა.


ჩვენ მიერ წარმოდგენილია დიაგრამები:



დიაგრამა N1




დიაგრამა N2



დიაგრამა N3


კითხვაზე – „რომელ სფეროშია პმდ-ის დარღვევის დიდი ალბათობა“? პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: სახელმწიფო შესყიდვები – 6 %; ჯანდაცვა და სოც.საკითხები – 20 %; საბანკო და სად.ს – 30%; ბუღალტერია და ფინანსები – 15%; აუდიტი – 5 %, განათლება – 21 %, სოფლის მეურნეობა – 3 %.



დიაგრამა N4

კითხვაზე – „როგორ აფასებთ პერსონალური მონაცემების დარღვევის დასაძლევად განხორციელებულ ღონისძიებებს“ – შემდეგი პასუხები

მივიღეთ: სახელმწიფომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა პირადი მონაცემების დასაცავად – 16%; სახელმწიფომ მნიშვნელოვანი საკანონმდებლო რეფორმა გაატარა, მაგრამ აღსრულების დონე დაბალია – 50 %; სახელმწიფოს მიერ გატარებული რეფორმები მინიმალურია – 32 %; სახელმწიფოს არანაირი რეფორმა არ გაუტარებია – 2 %.



დიაგრამა N5

„რა უნდა გაკეთდეს პერსონალური მონაცემების დარღვევის აღმოსაფხვრელად?“ შემდეგი პასუხები მივიღეთ – გამკაცრდეს საკანონმდებლო რეგულაციები–24%;გამკაცრდეს საკანონმდებლო რეგულაციების აღსრულება–42%; განხორციელდეს სასამართლო რეფორმა–18%; განხორციელდეს სახ.ინსპ. სამსახ. რეფორმა–14%; შეიცვალოს მოსახლეობის მიდგომა–2 %.

რეკომენდაციები პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

არსებული კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზის შედეგად ჩანს, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის მაღალი სტანდარტების დანერგვისათვის საჭიროა, ქმედითი ნაბიჯების გადადგმა. ამ მიზნით, შევიმუშავეთ შემდეგი სახის რეკომენდაციები:

-„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი საჭიროებს ევროპულ სტანდარტებთან მაქსიმალურ შესაბამისობაში

მოყვანას, კერძოდ: უნდა გაიზარდოს მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის გარანტიები;

-საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებსა და საზოგადოებრივ ტრანსპორტში ვიდეოთვალთვალის უფლებამოსილი პირების მიერ განხორციელების რეგულირებას;

-სხვა სახელმწიფოსთვის/საერთაშორისო ორგანიზაციისათვის მონაცემთა გადაცემის მეთოდების შერჩევას უფლებათა დაცვის საწინააღმდეგო რისკების გათვალისწინებით;

-დარგობრივი კანონმდებლობა (ჯანდაცვა, განათლება, დაზღვევა, საბანკო-საფინანსო საქმიანობა, სოციალური უზრუნველყოფა და სხვა) პირდაპირი მარკეტინგის ვიდეოთვალთვალის სხვა პირებისთვის გამჟღავნების რისკის გათვალისწინებით შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი General Data Protection Regulation (GDPR) გათვალისწინებული უსაფრთხოების წესებთან;

-**საჯარო დაწესებულებათა** მიერ მონაცემთა კანონიერი დამუშავების უზრუნველსაყოფად, უნდა განისაზღვროს მონაცემთა შენახვის გონივრული ვადები.

-უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავების შემთხვევაში, მონაცემთა დამუშავებლებმა პერსონალური მონაცემების დამუშავება უნდა უზრუნველყონ წერილობით ხელშეკრულების საფუძველზე;

- მონაცემთა არამიზნობრივი გამოყენების აღკვეთის მიზნით პერიოდული მონიტორინგის ჩატარება.

- ფარულ მიყურადებასა და მოსმენებთან დაკავშირებით, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ, სახელისუფლებო ორგანოების მიერ მიღებულ უნდა იქნას დაცვის მაღალი გარანტიები. დაცული უნდა იყოს ბალანსი ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებასა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების საჯარო ინტერესს შორის.

- საერთაშორისო ხელშეკრულების დადების დროს, **საჯარო დაწესებულებების მიერ** სხვა ქვეყნებისთვის პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის მიწოდების საკითხი უნდა იქნას გათვალისწინებული.

დასკვნა

სადისერტაციო კვლევაზე მუშაობის დროს ჩვენი მიზანი იყო საკანონმდებლო ბაზის ანალიზი, არსებული პრაქტიკის შესწავლა აღსრულებადობის თვალსაზრისით საჯარო სამსახურში და მისი საერთაშორისო გამოცდილების ჭრილში განხილვა, რათა მომხდარიყო სახელმწიფო ინსპექტორის აპარატის, როგორც ინსტიტუტის ეფექტურობის შეფასება და მისი სამომავლო დახვეწისა და სრულყოფის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება. **შესაბამისად, დისერტაციაში ჩვენ მიერ განაალიზებული იქნა** პერსონალურ მონაცემთა დაცვის კუთხით საქართველოში არსებული საკანონმდებლო ბაზა, რომელიც მოიცავს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონსა და საქართველოს მთავრობის დადგენილებას პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის საქმიანობისა და მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე. **კვლევის პროცესში** შესწავლილი იქნა ყველა ის მუხლი, რომელიც შესაბამისი მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანოს ფუნქციონირებას, უფლებამოსილებასა თუ საქმიანობის წესს შეეხებოდა.

კომპიუტერული ტექნოლოგიების და სატელეკომუნიკაციო სისტემების გამოყენება ელექტრონული მმართველობის პროცესის განუყრელი ნაწილია. საჯარო მმართველობის ეფექტიანად განხორციელების გამო სახელმწიფო პერსონალური მონაცემების ერთ-ერთი მსხვილი დამმუშავებელია. რამდენად იცავს სახელმწიფო - როგორც მონაცემთა დამმუშავებელი მოქალაქეების - როგორც მონაცემთა სუბიექტის უფლებებს, არის თუ არა დაცული საჯარო სამსახურში მონაცემთა დამმუშავების კანონიერება, რა როლი აკისრია მონაცემთა უკანონო დამმუშავების პრევენციის თვალსაზრისით სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს, ძირითადად რა სახით ირღვევა კ.მ და როგორია მათზე რეაგირების შემთხვევები, დისერტაციის მსჯელობის საგანია.

დამუშავდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატიდან 2013- 2019 წლების მდგომარეობით გამოთხოვნილი შემდეგი საჯარო ინფორმაცია: ინსპექტორის აპარატში წარდგენილი საჩივრებისა და

განცხადებების რაოდენობა; საკითხები, რომლებსაც აღნიშნული განცხადებები და საჩივრები შეეხებოდა და ინფორმაცია განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებების თაობაზე; ინფორმაცია იმ დაწესებულებების შესახებ, სადაც მონაცემთა დამუშავების კანონიერი შემოწმება (ინსპექტირება) განხორციელდა, ინსპექტირების შედეგად მიღებული სათანადო გადაწყვეტილების ასლების მოწოდებით; საზოგადოების ინფორმირების მიზნით, საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია; იმ საჯარო და კერძო დაწესებულებათა ჩამონათვალი, რომლებსაც გაეწია კონსულტაცია პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ბოლო პერიოდში, საქართველოში პერსონალურ მონაცემთა შიდასახელმწი-ფოებრივი კანონმდებლობა შეიცვალა, რაც ახალი კანონის მიღებასა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის (სახელმწიფო ინსპექტორის) დანიშვნაში გამოიხატა. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოსთვის მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანოს შემოღება ჯერ კიდევ სიახლეს წარმოადგენს და ამ დრომდე მსგავსი ხასიათის ინსტიტუტის ფუნქციონირების გამოცდილება არ არსებობდა, მნიშვნელოვანი იყო მოგვეხდინა ყველა იმ ასპექტის შესწავლა, რომელიც საზედამხედველო ორგანოს ეფექტურობის განმაპირობებელია. ასევე გასათვალისწინებელია იმ ქვეყნების გამოცდილება, სადაც საკანონმდებლო დონეზე გაწერილი ნორმების წარმატებული პრაქტიკული რეალიზება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის გამართული ფუნქციონირების თანმდევი პროცესია. შესაბამისად, ჩვენ შევისწავლეთ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში არსებული მდგომარეობა, გამოვლენილი ხარვეზები თუ სუსტი მხარეები, ასევე, ყველა იმ ელემენტის ერთობლიობა, რომელიც შესაძლებელია საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის წინაპირობას წარმოადგენდეს. **განხილული იქნა** პრობლემატური სფეროები პერსონალურ მონაცემთა დაცვის კუთხით.

ჩვენ მიერ **გამოკვლეულია** საჯარო სამსახურებში, პერსონალური მონაცემების დარღვევის რისკებთან დაკავშირებული საკითხები.

გამოვლენილია თანამედროვე ეტაპზე საქართველოს საჯარო სამსახურებში არსებული გამოწვევები. შემოთავაზებულია დასავლეთის ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, საქართველოს საჯარო სფეროში პერსონალური მონაცემების დარღვევის გამოსწორების გზები და მოქალაქეთა ინფორმირებულობის და ჩართულობის დონის ასამაღლებლად პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხში გასატარებელი ღონისძიებები. შემუშავებულია რეკომენდაციები საქართველოს საჯარო სამსახურში პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველსაყოფად.

კვლევის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საჯარო სამსახურში პერსონალურ მონაცემთა დაცვის გარანტიები დამოკიდებულია ვიდეოთვალთვალის, პირდაპირი მარკეტინგის, მონაცემთა გადაცემის მეთოდების უფლებათა დაცვის კონტექსტში შერჩევასა და დარგობრივ კანონმდებლობაში General Data Protection Regulation (GDPR)-ით გათვალისწინებული უსაფრთხოების წესების იმპლიმენტაციაზე.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა დემოკრატიული სახელმწიფოს ცნების განუყოფელი ნაწილია. მისი გარანტირებული დაცვა საქართველოს კონსტიტუციის რამდენიმე ნორმით არის უზრუნველყოფილი. პირადი ცხოვრების დაცვა უამრავი უფლებრივი კომპონენტისგან შედგება, რომელთაგან ერთ-ერთი არის პერსონალური მონაცემების დაცვა. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი 2011 წლის 28 დეკემბერს იქნა მიღებული, რის საფუძველზეც საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ცვლილებები განხორციელდა. განხორციელებული ცვლილებები დადებით მოვლენად უნდა შეფასდეს, რადგან მანამდე არსებული კანონმდებლობა არასრულფასოვანი ბუნებით ხასიათდებოდა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მუხლები ორიენტირებულნი იყვნენ მხოლოდ საჯარო დაწესებულებებზე და ვერ უზრუნველყოფდნენ პერსონალური მონაცემების სფეროს სრულყოფილ რეგულირებას. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა სამართლებრივ აქტში გაბნეული დებულებები ვერ უზრუნველყოფდნენ დასახულ მიზანს. შედეგად არსებული საკანონმდებლო ბაზა ვერ აკმაყოფილებდა ევროპულ სტანდარტებს; აღსანიშნავია, რომ განმარტებითი

ბარათის თანახმად, სწორედ „პერსონალური მონაცემების დამუშავების, შენახვისა და დაცვის სრულყოფილი მოწესრიგება, დაცვის სათანადო მექანიზმების ჩამოყალიბება და საქართველოს საერთაშორისო დონეზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულება“ დასახელდა ახალი კანონის მიღების საფუძვლად. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონი“, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, საკმაოდ ინოვაციურია და, შეიძლება, აღნიშნული სფეროს რეგულირების კუთხით წინ გადადგმულ ნაბიჯად ჩაითვალოს. იგი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა პერსონალურ მონაცემთა სფეროსთან დაკავშირებული ტერმინების ზედმიწევნით განმარტება, მონაცემთა დამუშავების პრინციპებისა და საფუძვლების განსაზღვრა, მონაცემთა სუბიექტის, დამმუშავებლის უფლებებისა და მოვალეობების საკანონმდებლო დონეზე გაწერა, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების ცნების შემოტანა და სხვა. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისთვის აბსოლუტური დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად და დასახული მიზნის მისაღწევად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მის ფინანსურ და ადამიანური რესურსით უზრუნველყოფასა და მინიჭებული უფლებამოსილების ხარისხს.

2013-2019 წლების საერთაშორისო თუ შიდა კანონმდებლობის, რეგულაციების, ანგარიშების, რეკომენდაციების, გზამკვლევების, გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის, სტატისტიკის და კონკრეტული შემთხვევების გაანალიზების შედეგად, შეგვიძლია საჯარო სამსახურში მონაცემთა დაცვის თვალსაზრისით ყოველი მომდევნო წელი დადებითად შევაფასოთ. თუმცა კვლავ ძირეულ პრობლემად რჩება მონაცემთა დამუშავება კონკრეტული საფუძვლის და მიზნის გარეშე, განუსაზღვრელი ვადით, ელექტრონული თუ მატერიალური ბაზების თანამშრომელთა განუსაზღვრელი რაოდენობისთვის ხელმისაწვდომობა. საგულისხმოა პერსონალური მონაცემების შემცველი ბაზების ერთი უწყების მიერ მეორე უწყებისთვის გადაცემის ფაქტები. უნდა აღინიშნოს რომ სახელმწიფო ინსპექტორის მიერ გაცემული გაფრთხილებებისა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის მაჩვენებლებით, საჯარო სექტორში, კერძოსთან შედარებით ნაკლები კანონდარღვევა დაფიქსირდა. **ჩვენ მიერ ჩატარებული**

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ საზოგადოებრივი ცნობიერება მომწიფებულია და მზადაა რეაგირება მოახდინოს პერსონალური მონაცემების დარღვევის შემთხვევაში, თუმცა გამოკითხულთა უმრავლესობა არ არის ჩამოყალიბებული სახ.ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის ეფექტიანობაში. რესპონდენტები უკანონოდ დამუშავებულ პერსონალურ მონაცემებს სახელმწიფოს უმოქმედობას უკავშირებენ და მიიჩნევენ რომ ყველაზე დიდი ალბათობით მათი პირადი ინფორმაცია ჯანდაცვით დაწესებულებებში არ იქნება დაცული. გამოკითხულთა ნახევარი თვლის, რომ სახელწიფომ მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ღონისძიებები გაატარა, მაგრამ მათი აღსრულების დონე დაბალია.

კვლევის შედეგებიდან გამოიკვეთა, რომ საჯარო დაწესებულებათა მიერ მონაცემთა კანონიერი და პროპორციული დამუშავების უზრუნველსაყოფად, უნდა დარეგულირდეს მონაცემთა შენახვის და განადგურების წესი და ვადები. საჯარო დაწესებულებებში კანონიერი საფუძვლის გარეშე მოპოვებული მონაცემები დაუყონებლივ უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს. უნდა გამკაცრდეს რეაგირება აღსრულების მექანიზმზე. გადახედილ უნდა იქნას ჯარიმის საკითხი, რომელიც არსებული კანონმდებლობით საკმაოდ მცირეა.

ხელისუფლების ორგანოების მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ ფარულ მიყურადებასა და მოსმენებთან დაკავშირებით უნდა იქნას მიღებული დაცვის მაღალი გარანტიები და დაცული იყოს ბალანსი ადამიანის ღირსების, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებასა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების, დანაშაულის გამოძიებისა და პრევენციის ლეგიტიმურ საჯარო ინტერესს შორის.

ნაშრომის აპრობაცია და პუბლიკაციები

კვლევის შედეგების აპრობაცია. დისერტაცია განხილული იქნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებლების, დოქტორანტებისა და

მაგისტრების ერთობლივ სხდომაზე.

ნაშრომში ფორმულირებული ძირითადი დებულებები ასახულია ავტორის მიერ გამოქვეყნებულ შემდეგ პუბლიკაციებში:

1) იაშვილი გ., ლლონტი თ. – „პერსონალურ მონაცემთა დამუშავება საჯარო და კერძო დაწესებულებაში“. სტუ. ბიზნესტექნოლოგიის ფაკულტეტი, სამეცნიერო ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“, თბილისი. 2019. ოქტომბერ-დეკემბერი. გვ 39-43.

2) იაშვილი გ., ლლონტი თ. – „პერსონალური მონაცემების დაცვის საერთაშორისო გამოცდილება“. სტუ. ბიზნესტექნოლოგიის ფაკულტეტი, სამეცნიერო ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“, თბილისი. 2019.

დისერტაციის ძირითადი დებულებები წარდგენილი იყო შემდეგ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებზე:

1. ლლონტი თ. მოხსენება - „სოციალური მედია და საზოგადოება საქართველოში“. სტუ; ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი, XIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული; საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“; თბილისი. 2019. გვ 193–198. ოქტომბერ-დეკემბერი. გვ 90-94.

2. ლლონტი თ. – „ინფორმაციული უსაფრთხოების პრობლემები საქართველოს საჯარო სამსახურში“. სტუ; ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი, XIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული; საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“; თბილისი. 2019. გვ 344–350.

დისერტაციის შესრულება

მომზადდა დოქტორანტურაში სწავლის დებულებით გათვალისწინებული და დაცული ორი თემატური სემინარი და სამი კოლოკვიუმი:

I კოლოკვიუმი. თარიღი: თებერვალი 2019 წ;

II კოლოკვიუმი: „პერსონალური მონაცემების დაცვის საერთაშორისო გამოცდილება“. თარიღი: ივლისი, 2019 წ;

III კოლოკვიუმი: „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების და გაცემის კანონიერება“. თარიღი: 05. თებერვალი 2020 წ.